

განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს რეგლამენტის პროექტი:

2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ფუნდამენტურ გადამუშავებას მოითხოვდა, რასაც პარლამენტმა წარმატებით გაართვა თავი და 2018 წლის დეკემბერში ევროპული სამართლებრივი კულტურის მაღალი სტანდარტების შესაბამისი ახალი რეგლამენტი მიიღო. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წლის 13 ოქტომბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ იქნა ერთგვარი გარდამავალი პერიოდი საპარლამენტო ცხოვრების ახალი სტანდარტების სრულფასოვნად დამკვიდრებისა და IX მოწვევის საქართველოს პარლამენტის მუშაობის შეუფერხებლად წარმართვა-დასრულებისათვის, პარლამენტის რეგლამენტიც ადაპტირებულ იქნა ხსენებულ გარდამავალ პერიოდზე. დღესდღეობით, იწურება რა IX მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადა, დღის წესრიგში დადგა საქართველოს კონსტიტუციის (ასამოქმედებელ) ძირითად დებულებებთან რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანის საკითხი. ამავდროულად, ახალი რეგლამენტის ამოქმედების კვალდაკვალ პრაქტიკამ გამოავლინა გარკვეული ხარვეზები, რაც აღმოფხვრას საჭიროებს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად რეგლამენტის მიღების აუცილებლობა:

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით განმტკიცებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთ ასპექტს კონსტიტუციის უზენაესობა წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ყველა სხვა სამართლებრივი აქტი შესაბამისობაში უნდა იყოს სახელმწიფოს უზენაეს კანონთან. ამასთან, კონსტიტუციის (ასამოქმედებელი) ძირითადი დებულებებიდან გამომდინარე, საპარლამენტო საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებში ცვლილების შეტანა ერთმნიშვნელოვნადაა დაკავშირებული რეგლამენტის გადასინჯვასთან, რადგანაც კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სწორედ რეგლამენტი განსაზღვრავს პარლამენტის მუშაობის წესს.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

რეგლამენტის პროექტის მიღების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის ძირითად დებულებებთან, მათ სულისკვეთებასთან. გარდა ამისა, კიდევ უფრო ამაღლდება პარლამენტში საკანონმდებლო საქმიანობის ხარისხი, უფრო ეფექტიანად მოხდება მისი მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელება და დაიხვეწება პარლამენტის სტრუქტურა. საერთო ჯამში ეს ყოველივე ხელს შეუწყობს საპარლამენტო ცხოვრების გაჯანსაღებას.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს ათეულობით შინაარსობრივ და ტექნიკურ შესწორებას პარლამენტის რეგლამენტის ფაქტობრივად ყველა თავში, კერძოდ:

- ფრაქციის, როგორც საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად პარტიული ნიშნით ჩამოყალიბებული გაერთიანების საქმიანობა შეიძენს კიდევ უფრო დიდ დატვირთვას, რასაც განაპირობებს ფრაქციის შექმნის ახალი, კონსტიტუციის ძირითად დებულებებში რეგლამენტირებული პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრებს უფლება არ ექნებათ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. ამასთანავე, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ან/და საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრების მიერ საერთო ფრაქციის შექმნა დაუშვებელი იქნება. შესაბამისად, ფრაქცია იქნება უალტერნატივო პლატფორმა პოლიტიკური ჯგუფების მიზნების ეფექტიანი რეალიზაციისათვის და შესაძლებელი გახდება მკაფიო კავშირის იდენტიფიცირება/პარალელების გავლება პარტიებსა და ფრაქციებს შორის;
- კონსტიტუციური ჩანაწერის შესაბამისად დგინდება, რომ ფრაქციის შექმნის უფლება ექნება არანაკლებ 7 პარლამენტის წევრს. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ 2024 წლამდე გასამართ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექნებათ საარჩევნო ბლოკებსაც, ბლოკში შემავალ პოლიტიკურ პარტიას დამოუკიდებელი ფრაქციის შექმნის უფლება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის წევრად შესაბამისი საარჩევნო ბლოკის საარჩევნო სიაში მისი ამ პარტიის წევრად მითითებული 7 წევრი მაინც იქნება არჩეული;
- საპარლამენტო ცხოვრებაში ფრაქციათა როლის ზრდისა და მათი შექმნის ახალი წესის ფონზე, ახლებურად განისაზღვრება საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის არსი და მათი სიების რეგისტრაციის წესიც: პარლამენტის პირველი შეკრებიდან არაუგვიანეს 35-ე დღისა პარლამენტის ბიუროს წარედგინება არანაკლებ 76 პარლამენტის წევრის ხელმოწერით დადასტურებული საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა სია, რომელსაც რეგისტრაციაში გაატარებს პარლამენტის ბიურო. დაუშვებელი იქნება საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა სიაში რომელიმე ფრაქციის წევრთა ნაწილის შეყვანა. რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციას, პარლამენტის ყველა წევრი, რომელიც არ იქნება გაერთიანებული საპარლამენტო უმრავლესობაში, მიკუთვნებულ იქნება საპარლამენტო ოპოზიციას;
- იცვლება გრადაცია, რომელიც უკავშირდება, ერთი მხრივ, საპარლამენტო თანამდებობებს, მეორე მხრივ, გარკვეული თანამდებობებისთვის დადგენილ გასამრჯელოს. კერძოდ, პარლამენტის რეგლამენტის მოქმედი რედაქცია თეორიულად ქმნის პარლამენტის თავმჯდომარის 9 მოადგილის (მათ შორის, პირველი მოადგილის) არჩევის შესაძლებლობას. ამის საპირისპიროდ, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს საერთო ჯამში პარლამენტის თავმჯდომარის 3 მოადგილის არჩევას, რომელთაგან ერთი იქნება პირველი მოადგილე, ხოლო თითო მოადგილე იქნება საპარლამენტო უმრავლესობიდან და საპარლამენტო ოპოზიციიდან. უმრავლესობის ლიდერი აღარ იქნება პარლამენტის თანამდებობის პირი. შესაბამისად, უქმდება ხსენებული თანამდებობისთვის განსაზღვრული გასამრჯელო. ფრაქციათა გაზრდილი

როლის გათვალისწინებით, ფრაქციის თავმჯდომარის გასამრჯელო გაუთანაბრდება კომიტეტის თავმჯდომარის გასამრჯელოს. აგრეთვე, საპარლამენტო თანამდებობებს დაემატება ფრაქციის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები, რომელთა გასამრჯელო გაუთანაბრდება, შესაბამისად, კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და, არსებული რეგულაციის შესაბამისად, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გასამრჯელოებს. ამასთან, რეგლამენტირებული იქნება ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების განწესების პრინციპი - ფრაქციის თავმჯდომარეს ფრაქციის ყოველ 15 წევრზე არაუმეტეს ერთი მოადგილის ყოლა შეეძლება. თუ ფრაქციის თავმჯდომარეს ერთზე მეტი მოადგილე ეყოლება, დასაშვები იქნება ერთ-ერთ მათგანს პირველი მოადგილის სტატუსი მიენიჭოს. გარდა აღნიშნულისა, საპარლამენტო თანამდებობების ჩამონათვალს აკლდება დროებითი საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების თავმჯდომარეთა თანამდებობები (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარეობას, პარლამენტის გადაწყვეტილებით, შეითავსებს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო დროებითი საგამომიებო ან სხვა დროებითი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა შეითავსებით შეიძლება დაიკავოს პარლამენტის თანამდებობის პირმა), უქმდება ამ სტატუსისთვის განსაზღვრული გასამრჯელო;

- იცვლება ფრაქციის გარეთ დარჩენილი პარლამენტის წევრის სტატუსის აღმნიშვნელი ტერმინი - ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნება უფრაქციო პარლამენტის წევრი, ნაცვლად დამოუკიდებელი პარლამენტის წევრისა. ამასთან, უფრაქციო პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციანი ჯგუფი იქნება აღჭურვილი გარკვეული უფლებამოსილებებით, რომლითაც აქამდე პარლამენტის წევრთა ექვსკაციანი ჯგუფი სარგებლობდა. აღნიშნული უკავშირდება ფრაქციის შესაქმნელად საჭირო პარლამენტის წევრთა მინიმალური რაოდენობის 6-დან 7-მდე ზრდას;
- კომიტეტი უფლებამოსილი იქნება შეუდგეს მუშაობას, თუ დანიშნული იქნება კომიტეტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. პარლამენტის წევრს კომიტეტის სხდომა გაცდენილად არ ჩაეთვლება, თუ კომიტეტის გასვლითი სხდომა ჩატარდება სხვა კომიტეტის სხდომის დღეს, იმ შემთხვევაში თუ პარლამენტის წევრი ორივე შესაბამისი კომიტეტის წევრი იქნება და ერთ-ერთ სხდომას დაესწრება;
- კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება კანონის ნორმების ნუმერაციის ცვლილება მათი სამართლებრივი შინაარსის ცვლილების გარეშე, დაექვემდებარება გამარტივებული წესით (ერთი მოსმენით) მიღებას;
- იცვლება პოლიტიკურ დებატებში (მათ შორის, ინტერპელაციის პროცედურის ფარგლებში გასამართ დებატებში) გამომსვლელთათვის დროის განაწილების წესი, რომლის მიხედვითაც ფრაქციებს მიეცემათ იმდენი წუთი, რამდენი პარლამენტის წევრიც იქნება შესაბამის ფრაქციაში გაერთიანებული, მაგრამ არანაკლებ 10 და არაუმეტეს 75 წუთისა. უფრაქციო (დამოუკიდებელ) პარლამენტის წევრებს მიეცემათ 3-3 წუთი. ფრაქციაზე გამოსაყოფი დრო იდენტური პრინციპით გადანაწილდება

პლენარულ სხდომაზე (პირველი და მეორე მოსმენით) კანონპროექტის განხილვის პროცედურაზე;

- კენჭისყრის პროცედურის დაწყების სავარაუდო დროს პლენარული სხდომის თავმჯდომარე გამოაცხადებს პლენარული სხდომის გახსნისთანავე (ნაცვლად ნახევარი საათით ადრე გამოცხადებისა). გამოცხადებულ სავარაუდო დრომდე შესაბამისი კენჭისყრის პროცედურის დაწყება დაუშვებელი იქნება;
- გარდა ზემოთქმულისა, წარმოდგენილია რიგი ტექნიკური ცვლილებები, მათ შორის ზუსტდება: საბიუჯეტო პროცესის ვადები, თუ აღნიშნული პროცესი ემთხვევა პარლამენტის მორიგი არჩევნების წელს; ნდობის ჯგუფისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირების წესი; საპროკურორო საბჭოში, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭოს წევრთა კანდიდატურების შესარჩევ კომისიაში წევრთა არჩევის წესი. დგინდება მინისტრის საათის შემთხვევაში პლენარული სხდომის გაგრძელების შესაძლებლობა საკითხის ამოწურვამდე. ხდება ფორმულირების დაზუსტება კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმის შედგენასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება კონსტიტუციური კანონპროექტის გამოქვეყნებიდან 1 თვის გასვლას. რეგლამენტის გარდამავალი დებულებებიდან ხდება იმ რეგულაციების ამოღება, რომლებმაც დაკარგეს აქტუალობა და სხვ.

ა.დ) რეგლამენტის პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

განმარტებითი ბარათის ეს ნაწილი არ ვრცელდება წარმოდგენილ რეგლამენტის პროექტზე.

ა.ე) რეგლამენტის პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო რეგლამენტისთვის უკუპალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

რეგლამენტის პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები უნდა ამოქმედდეს საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენისთანავე, რათა ახალარჩეულმა პარლამენტმა საქმიანობა დაიწყოს საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი დებულებებისა და საპარლამენტო საქმიანობის შესაბამისი სტანდარტების დაცვით.

ა.ვ) რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ინიციატორი არ ითხოვს წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (რეგლამენტის პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს პარლამენტისთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში. თუმცა, რეგლამენტის პროექტით განსახორციელებელი ცვლილებები ძირითად შემთხვევაში გულისხმობს გარკვეული საპარლამენტო თანამდებობების გაუქმებასა და შემცირებას და ცალკეულ შემთხვევებში მათთან დაკავშირებულ პარლამენტში დასაქმებულ პირთა პოზიციების გაუქმებას, რაც მთლიანობაში არ იწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტი გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები გულისხმობს ზოგიერთი საპარლამენტო თანამდებობებისა და პარლამენტის აპარატში დასაქმებულ პირთა თანამდებობების გაუქმებას. აღნიშნული ცვლილება საპარლამენტო თანამდებობების შემთხვევაში გამოიწვევს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებას შესაბამისად გაუქმებული და შემცირებული საპარლამენტო თანამდებობისა და პარლამენტის წევრის გასამრჯელოებს შორის სხვაობის 20%-ით, რაც თვეში საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 2560 ლარს, ხოლო პარლამენტის აპარატში არსებული პროექტით გათვალისწინებული თანამდებობების გაუქმების შემთხვევაში - შესაბამისი თანამდებობების შრომის ანაზღაურების 20%-ით.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები პირდაპირ გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, მხოლოდ გავლენას იქონიებს ბიუჯეტში პარლამენტისათვის გამოყოფილ ასიგნებებზე. კერძოდ, პროექტის მიხედვით, უქმდება ზოგიერთი საპარლამენტო თანამდებობა და შესაბამისად უქმდება მათი ანაზღაურება. უქმდება უმრავლესობის და უმცირესობის ლიდერის და მათი მოადგილეების გასამრჯელო, რომელიც ყოველთვიურად შესაბამისად შეადგენს 5540 და 4800 ლარს. აგრეთვე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა შესაძლებელი 9-დან მცირდება მაქსიმუმ 3-მდე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 6340 ლარს (ამჟამად პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას იკავებს 7 პარლამენტის წევრი). ასევე უქმდება დროებითი საგამომიებო ან სხვა დროებითი კომისიის თავმჯდომარის საპარლამენტო თანამდებობები და შესაბამისად მათი ანაზღაურება, რომელიც შეადგენს თვეში 4940 ლარს (ამჟამად პარლამენტში შექმნილია ერთი დროებითი კომისია). შესაბამისად, მომდევნო მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, ყველა ზემოაღნიშნული საპარლამენტო თანამდებობის პირი, ნაცვლად მითითებული ანაზღაურებებისა, მიიღებს გასამრჯელოს 4624 ლარის ოდენობით, ანუ იმ ოდენობით რაც განსაზღვრულია პარლამენტის წევრისთვის, რომელიც არ არის საპარლამენტო თანამდებობის პირი. შესაბამისად, ამ საპარლამენტო თანამდებობების გაუქმებისა და შემცირების შედეგად

დაზოგილი თანხის ოდენობა იქნება პარლამენტის წევრისა და შესაბამისი საპარლამენტო თანამდებობის პირის ხელფასებს შორის სხვაობა, რაც თვეში საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 12800 ლარს ყველა ზემოთ აღნიშნული თანამდებობის პირის მიმართ. საპარლამენტო თანამდებობების გაუქმებასა და შემცირებასთან დაკავშირებით, ასევე შემცირდება ამ თანამდებობებთან დაკავშირებული, შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხარჯები, რომელიც მთლიანობაში თვეში საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 25 000 ლარს, რაც გულისხმობს სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის და სხვა ხარჯებს.

შესაბამისი გაუქმებული და შემცირებული საპარლამენტო თანამდებობებიდან გამომდინარე, უქმდება შემდეგი აპარატები: უმრავლესობის აპარატი (თვეში განკუთვნილი დაფინანსების ოდენობა - 10 975 ლარი), უმცირესობის აპარატი (თვეში 7 000 ლარი, თუმცა ამჟამად საქართველოს პარლამენტში არ არის შექმნილი უმცირესობა და შესაბამისად ამ მიმართულებით არ ხდება ხარჯების გაწევა), დროებითი კომისიის აპარატი (ამჟამად პარლამენტში შექმნილია ერთი დროებითი კომისია და მისი აპარატის ყოველთვიური ხარჯი შეადგენს 7 800 ლარს). პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობის შემცირების შესაბამისად, ასევე მცირდება პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოები (თითოეულისთვის თვეში განკუთვნილი დაფინანსების ოდენობა - 8 100 ლარი). აღნიშნული აპარატებისა და სამდივნოების თანამშრომლები დასაქმებულნი არიან შრომითი ან ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესაბამისად და მათი საქმიანობის პერიოდი განსაზღვრულია კონკრეტული პერიოდით, რომელიც უკავშირდება შესაბამისი თანამდებობის პირის, ან კომისიის საქმიანობის პერიოდს. თუმცა, ვინაიდან მომდევნო მოწვევის პარლამენტში რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები აღარ იძლევა ზემოთ აღნიშნული აპარატების შექმნის შესაძლებლობას, აგრეთვე მცირდება პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოების რაოდენობა, დასაქმებული პირების რაოდენობისა და მათი ანაზღაურების შესაბამისად, ყოველთვიურად ზემოთ აღნიშნული თანხების ჯამური ოდენობით, შემცირდება პარლამენტის აპარატის დაფინანსებისათვის საჭირო თანხები, რაც თვეში საშუალოდ შეადგენს 74 375 ლარს ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში.

რეგლამენტის პროექტის მიხედვით, 70 ლარით იზრდება ფრაქციის თავმჯდომარის გასამრჯელო. რაც შეეხება ფრაქციის მოადგილის გასამრჯელოს, იგი უცვლელია და კვლავ შეადგენს 4740 ლარს. რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, თუ ფრაქციის თავმჯდომარეს ეყოლება ერთზე მეტი მოადგილე, შესაძლებელი იქნება ამ მოადგილეთაგან ერთ-ერთს მიენიჭოს პირველი მოადგილის სტატუსი, რომლის ანაზღაურებაც იქნება 4800 ლარი, 60 ლარით მეტი ვიდრე მოადგილედ ყოფნის შემთხვევაში. საბოლოო ჯამში, აღნიშნულ თანამდებობებზე გაზრდილი ანაზღაურებიდან გამომდინარე გასათვალისწინებელი ხარჯების საერთო ოდენობა დამოკიდებული იქნება მომდევნო მოწვევის პარლამენტში შექმნილი ფრაქციების და ამავდროულად ამ ფრაქციების წევრთა რაოდენობაზე, ვინაიდან ფრაქციის თავმჯდომარეს ფრაქციის ყოველ 15 წევრზე შეიძლება ჰყავდეს არაუმეტეს 1 მოადგილისა, ხოლო პირველი მოადგილის სტატუსი ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ეყოლება ერთზე მეტი მოადგილე. იმ შემთხვევაში, თუ ფრაქციის წევრთა რაოდენობა იქნება 15-ზე ნაკლები, ფრაქციის თავმჯდომარეს მოადგილე არ ეყოლება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს არსებული თანამდებობებისა და ზემოთ აღნიშნული ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით, რეგლამენტის პროექტის ამოქმედების და შემდგომი 3 წლის განმავლობაში, მთლიანობაში პარლამენტის დაფინანსებისთვის საჭირო თანხების ოდენობა შემცირდება აღნიშნული დროის შესაბამისად და იმის პროპორციულად, რამდენი მოქმედი საპარლამენტო თანამდებობის და პარლამენტის აპარატში დასაქმებული პირის მიერ დაკავებული თანამდებობაც იქნება გაუქმებული ან შემცირებული, ზემოთ აღნიშნული ფინანსური გაანგარიშების გათვალისწინებით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, რეგლამენტის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია რეგლამენტის პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს პარლამენტის იმ თანამდებობის პირთათვის, რომელთა ანაზღაურებაც იცვლება ან უქმდება საპარლამენტო თანამდებობები. რადგან, პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაში შედის საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, შესაბამისად, დღეს მოქმედ თანამდებობებზე მყოფ პირებთან მიმართებით ფინანსური შედეგები უცვლელი რჩება.

რაც შეეხებათ, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოებსა და უმრავლესობის, უმცირესობის და დროებითი კომისიების აპარატებში დასაქმებულ პირებს, აღსანიშნავია, რომ ისინი დასაქმებულნი არიან შესაბამისად შრომითი ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და მათი საქმიანობის პერიოდი განსაზღვრულია კონკრეტული ვადით, რომელიც უკავშირდება შესაბამისი თანამდებობის პირის ან კონკრეტული საპარლამენტო სუბიექტის (უმრავლესობა, უმცირესობა, დროებითი კომისია) საქმიანობის პერიოდს. შესაბამისად, ვინაიდან პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები განხორციელდება მომდევნო მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ აღნიშნულ პირებზე წარმოდგენილი ცვლილებები ვერ იქონიებს ფინანსური გავლენას.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება რეგლამენტის პროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, რეგლამენტის პროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება რეგლამენტის პროექტის მსგავსი რეგლამენტების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული რეგლამენტის პროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი - ირაკლი კობახიძე.

ვ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი კობახიძე, გიორგი კახიანი, მამუკა მდინარაძე, გურამ მაჭარაშვილი.